



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-9/285
14/05/2019

285-შ-19-1-4-201905141307



ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე
კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2019 წლის 14 თებერვალს მიღებული იქნა გადაწყვეტილება N77/23 „ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“.

კომისია აღნიშნავს, რომ მიმდინარე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენა კომისიაში გაიმართა 2019 წლის 7 მაისს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების დღედ განისაზღვრა 2019 წლის 14 მაისი. კომისიის 2019 წლის 7 მაისის ზეპირი მოსმენის და 2019 წლის 14 მაისის სხდომებს ესწრებოდნენ: სს „სილქნეტის“ პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი თიკო ტყეშელაშვილი, სს „სილქნეტის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი კახი ყურაშვილი, სს „სილქნეტის“ ოპერატორებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი თამარ გომარელი, სს „სილქნეტის“ აბონენტებთან ურთიერთობის მიმართულების დირექტორი ლევან ბუჩუკური, ააიპ „საქართველოს სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარე უჩა სეთური, ფიზიკური პირი შოთა შოთაძე, შპს „კავკასუს ონლაინის“ დირექტორი გიორგი შანიძე, შპს „კავკასუს ონლაინის“ ფინანსური დირექტორი ვაჰან მღებრიანი, შპს „კავკასუს ონლაინის“ იურისტი ელენე მებონია, შპს „კავკასუს ონლაინის“ იურისტი დავით კაპანაძე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2015 წლის 29 იანვარს მიღებული იქნა გადაწყვეტილება N57/9 „ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“. აღნიშნული გადაწყვეტილებით ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დადგენილ ავტორიზებულ პირებს შპს „კავკასუს ონლაინს“ და სს „სილქნეტს“ ინტერნეტის



გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურებაზე დაუდგინდათ ზედა ზღვრული ტარიფი 32 ლარის (გადასახადების გარეშე) ოდენობით ერთ მგბტ/წმ-ზე, თვეში. აღნიშნული გადაწყვეტილების მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის მიხედვით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაეკისრათ დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით: „ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა უზრუნველყონ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მსურველი (აქცეპტანტი) ავტორიზებული პირისათვის მიწოდება იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით), რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, აფილირებული ან/და სხვა ავტორიზებული პირისათვის“.

კომისიის მიერ დაწყებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევა და გლობალურ და ლოკალურ ინტერნეტ რესურსებთან წვდომის რეგულირება მიზნად ისახავს საკითხის გადაწყვეტას, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ და საერთაშორისო ინტერნეტ რესურსებთან დაშვების მაღალ საბითუმო ფასებთან, რომელსაც იხდიან ის ოპერატორები, რომლებმაც არ აქვთ პირდაპირი წვდომა საერთაშორისო ინფრასტრუქტურასთან, რაც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ინტერნეტის მოხმარების საცალო ფასებზე.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის (დ. გოგიჩაიშვილი) მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

გლობალური ინტერნეტის ბაზარზე კონკურენციის ტენდენციები

ინტერნეტთან წვდომის ეროვნული და საერთაშორისო ინფრასტრუქტურა საქართველოში საკმაოდ არის განვითარებული.

საქართველოში საერთაშორისო ინტერნეტ რესურსებთან წვდომა (და შესაბამისად საბითუმო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა) ხორციელდება მსხვილი ოპერატორების: შპს „კავკასუს ონლაინის“, სს „სილქნეტის“, შპს „დელტა კომის“ (შპს „მაგთიკომის“ შვილობილი კომპანია) და შპს „ფოკტნეტის“ მიერ.

2017 და 2018 წლების განმავლობაში გლობალური ინტერნეტის საბითუმო რესურსებთან დაშვების მომსახურებაზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებმა ინტერნეტის გლობალური რესურსებთან წვდომის მომსახურებაზე საბითუმო ტარიფები 32 ლარიდან 12,50 ლარამდე შეამცირეს. მიუხედავად ტარიფების შემცირებისა, ეროვნული და საერთაშორისო IP ტრანზიტის საბითუმო მომსახურებებზე კონკურენციის შეფასება აუცილებლობას წარმოადგენს, ვინაიდან, პატარა ოპერატორებს, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი წვდომა ეროვნულ ან საერთაშორისო ინტერნეტის რესურსებთან, არ


შეუძლიათ დომინანტი ოპერატორებისთვის ეფექტური კონკურენციის გაწევა, როგორც ინტერნეტის სიჩქარის, ასევე ფასების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტის გლობალურ და ლოკალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების დანახარჯების სტრუქტურაში (შემადგენლობაში) გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურებას მნიშვნელოვანი წილი უკავია, როგორც ამ მომსახურების მიმწოდებლისათვის, ასევე მისი მიმღებისათვის. შესაბამისად, კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის 671/9 გადაწყვეტილებით („გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“) მაგისტრალური არხებით საბითუმო მომსახურებებზე, მათ შორის, ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელთან და მომავალი თაობის ქსელის ციფრულ მოწყობილობებთან დაშვებაზე, კომისიამ დაადგინა ეფექტური ოპერატორის საფუძველზე ე.წ „LRIC“ მოდელით გაანგარიშებული ხარჯზე ორიენტირებული ტარიფები. ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელში ერთი ძარღვის იჯარაზე ერთ კილომეტრზე 14,90 ლარის ოდენობით თვეში, ხოლო მონაცემების ტრანსპორტირებზე ერთ მეგაბიტზე 0,50 ლარის ოდენობით თვეში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ მომსახურებებზე ფასების შემცირებისა, საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარებით, საქართველოში გლობალური ინტერნეტის რესურსებზე წვდომის ფასები მაინც ძალიან მაღალია.

ყოველთვიური საერთაშორისო IP ტრანზიტის ფასები 10GigE (USD 1მბ/წმ-ზე)

გრაფიკი N1



წყარო: მსოფლიო ბანკი, ტელეკომუნიკაციების მონაცემებზე დაყრდნობით, 2017.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ ოპერატორებს, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი წვდომა საერთაშორისო (ასევე ეროვნულ) ინფრასტრუქტურასთან, გაუჭირდებათ კონკურენციაში შევიდნენ დიდ ოპერატორებთან მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ პაკეტების მომსახურების მომხმარებლებისათვის მიწოდების თვალსაზრისით, ვინაიდან მათი შემოსავლების დიდი წილი იხარჯება საბითუმო მომსახურებების შექენაზე.

საქართველოში არ არსებობს ინტერნეტის გაცვლის ნეიტრალური ცენტრები. დიდი ოპერატორები, მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ფასიან ადგილობრივ ინტერნეტ ტრაფიკს სთავაზობენ. ამასთან ერთად, პატარა ოპერატორებისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქეშირებულ კონტენტებზე წვდომა (YouTube ან Google), ვინაიდან ალტერნატიულ ოპერატორებს ტრაფიკი მათთვის ძვირადღირებული საერთაშორისო არხების მეშვეობით გადაეცემა, ნაცვლად იმ ადგილობრივ ქეშირებულ სერვერებზე დაშვებისა, რომლებიც საქართველოშია განლაგებული.

მიუხედავად გლობალურ ინტერნეტ რესურსებთან წვდომისა და IP ტრანზიტის პროდუქტებზე ბოლო დროინდელი ფასების ცვლილებებისა, საერთაშორისო და ეროვნულ ინტერნეტ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა შეფასებულ უნდა იქნას როგორც რთული კონკურენტული გარემო. პატარა ოპერატორებს, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი წვდომა ინტერნეტის ეროვნულ ან საერთაშორისო ინფრასტრუქტურასთან, გაუჭირდებათ ეფექტური კონკურენციის გაწევა დიდი ოპერატორებისათვის (სიჩქარესთან ან ფასებთან მიმართებაში).

არ უნდა არსებობდეს დისკრიმინაცია დომინანტი საბითუმო ოპერატორის საკუთარი აბონენტებისა და კონკურენტი ოპერატორის აბონენტების მიერ დაგენერირებული ტრაფიკის მარშრუტებს შორის (მაგ: საკუთარი მომხმარებლების ქეშირებული კონტენტის მარშრუტზე გადამისამართება მაშინ, როცა კონკურენტი კომპანიების მომხმარებლების წვდომა იგივე კონტენტზე ხდება გლობალური ინტერნეტის საერთაშორისო არხებზე გადამისამართების გზით).

წარმოდგენილი ინფორმაცია

გლობალურ ინტერნეტ რესურსებზე ხელმისაწვდომობის საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ფარგლებში კომისიამ კომპანიებისაგან გამოითხოვა 2018 წლის ინფორმაცია:

- ა) შეძენილი საბითუმო გლობალური ინტერნეტის მოცულობის შესახებ;
- ბ) გლობალური ინტერნეტის ტრაფიკის შესახებ;
- გ) გლობალური ინტერნეტ ტრაფიკის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების შესახებ;
- დ) საბითუმო გლობალური ინტერნეტ მომსახურების მიწოდების მოქმედი სატარიფო გეგმების შესახებ;
- ე) 2018 წლის მონაცემების საფუძველზე მომზადებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურებების ტარიფების გაანგარიშების მოდელი.

შენიშვნა: სს „სილქნეტს“ ზემოთ „ე“ პუნქტში მოცემული ინფორმაცია კომისიაში არ წარმოუდგენია.

შპს „კავკასუს ონლაინმა“ 2019 წლის 29 მარტის N 01-02/10199 (კომისიაში რეგისტრაციის N შ-19-6/1321) წერილით კომისიაში წარმოადგინა ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურებების დანახარჯების განაწილების გაანგარიშება. წარმოდგენილ

განგარიშებასთან დაკავშირებით შპს „კავკასუს ონლაინს“ 2019 წლის 15 აპრილის N19-08/1138 წერილით გაეგზავნა შენიშვნები. შპს „კავკასუს ონლაინმა“ 2019 წლის 22 აპრილის N01-02/10233 (კომისიაში რეგისტრაციის N 19-6/1870) წერილით კომისიაში წარმოადგინა კომისიის შენიშვნებზე კომენტარები. შპს „კავკასუს ონლაინს“ კომისიის შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული განგარიშება კომისიაში არ წარმოუდგენია.

ბაზრის ანალიზი

ბაზრის ანალიზის მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტის შეფასება, არის თუ არა ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული და განსაზღვრული ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ეფექტიანად კონკურენტუნარიანი, ანუ წარმოდგენილია თუ არა ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ერთი ან ერთზე მეტი ავტორიზებული პირი (პირები), რომელსაც ინდივიდუალურად და/ან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება გააჩნია.

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობის ანალიზისას, კომისიამ შეაფასა შემდეგი კრიტერიუმები:

- ავტორიზებული პირის საბაზრო წილი და მისი საერთო მოცულობა;
- რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა;
- მომხმარებლის ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა;
- ვერტიკალური ინტეგრაცია.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამოყენებული იქნა მხოლოდ იმ კრიტერიუმის კომბინაცია, რომლებიც ყველაზე უფრო მიზანშეწონილია აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტული გარემოს შესაფასებლად.

ა) ავტორიზებული პირის საბაზრო ხვედრითი წილი და საერთო მოცულობა

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის საერთო მოცულობის შესაფასებლად, ბაზარზე მის მიერ დაკავებული საბაზრო ხვედრითი წილი გამოიყენება. საბაზრო ხვედრითი წილი შეიძლება განსაზღვრული იქნას შესაბამისი მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლების, აბონენტების რაოდენობის, ქსელის ან ქსელის შესაბამისი ელემენტების მოცულობების მიხედვით.

კომისიის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის თანახმად, შემდეგი ავტორიზებული პირები ახორციელებენ გლობალური ინტერნეტის შექმნასა და გადაყიდვას:

- ა) სს „სილქნეტი“;
- ბ) შპს „კავკასუს ონლაინი“;
- გ) შპს „დელტა კომი“;
- დ) შპს „ფოპტნეტი“.

შპს „მაგთიკომი“ საბითუმო გლობალურ ინტერნეტ რესურსებს ყიდულობს "კავკასუს ბულგარიასგან" (შპს "კავკასუს ონლაინის" შვილობილი კომპანია 100%-იანი წილით), ხოლო ოპტიკურ კაბელს ქირაობს შპს „კავკასუს ონლაინისგან“. ზემოთ მოყვანილ ცხრილში შპს „მაგთიკომის“ და შპს „კავკასუს ონლაინის“ გლობალური ინტერნეტის მოცულობები გაერთიანებულია.

საცალო ინტერნეტის პროვაიდერები შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“ და შპს „CGC“ და საბითუმო ინტერნეტის პროვაიდერები შპს „ფოპტნეტი“ და შპს „სისტემ ნეტი“, არიან დაკავშირებული მხარეები (კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ). შპს „ფოპტნეტი“ ფლობს წყალქვეშა და სახმელეთო ოპტიკურ ბოჭკოვან კაბელებს, რომლებიც აკავშირებს:

- ა) თბილისი-ფოთი-ნოვოროსიისკს;
- ბ) თბილისი-წითელი ხიდი-აზერბაიჯანს;
- გ) თბილისი-სადახლო-სასომხეთს.

გლობალური ინტერნეტის შემოტანისათვის, გავრცელებისა და მართვისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობები შპს „სისტემ ნეტი“ საკუთრებაშია. ამასთან, საანალიზო პერიოდში შპს „ფოპტნეტი“, მის მიერ შემოტანილი საბითუმო ინტერნეტის გაყიდვას ახორციელებდა მხოლოდ შპს „სისტემ ნეტზე“, ხოლო შპს „სისტემ ნეტი“ თავის მხრივ ყიდდა ჯგუფის შიგნით (გარდა ერთი მცირე მომხმარებლისა). შპს „ფოპტნეტისა“ და შპს „სისტემ ნეტის“ მონაცემების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, ამ ორი კომპანიის მონაცემები არ შეკრებილა. ბაზრის წილის გაანგარიშებაში მხოლოდ შპს „ფოპტნეტის“ მონაცემებმა მიიღო მონაწილეობა.

კომპანიების მიერ იმპორტირებული გლობალური ინტერნეტ რესურსების მოცულობა
2015-2018 წელს, გბ/წმ

ცხრილი N2


კომპანია	Q1 15	Q2 15	Q3 15	Q4 15	Q1 16	Q2 16	Q3 16	Q4 16	Q1 17	Q2 17	Q3 17	Q4 17	Q1 18	Q2 18	Q3 18	Q4 18
სილქნეტი	106	95	85	89	84	84	84	84	110	90	110	110	110	120	120	120
კავკასუს ონლაინი	85	86	86	86	86	96	27	27	27	27	27	32	33	33	33	33
მაგთიკომი	2	1	1	1	4	4	70	80	90	90	100	140	150	150	170	170
დელტა კომმი	7	7	7	6	14	14	14	15	20	20	10	10	10	10	5	5
ფოპტნეტი	28	28	27	27	27	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35
ჯეოსელი	-	5	5	5	5	5	5	5	3	3	3	3	3	3	-	-
სხვა	0	0	0	0	0	0	0	1	1	1	1	0	0	0	0	0
სულ	228	222	211	214	220	238	236	247	286	266	286	330	341	351	363	363

შენიშვნა: მაგთიკომის (2016) მიერ კავკასუს ონლაინის საცალო აქტივების შექმნის შემდეგ, საბითუმო მოცულობის მნიშვნელოვანი ნაწილი მაგთიკომში გადავიდა. შპს „მაგთიკომი“ საბითუმო გლობალურ ინტერნეტ რესურსებს ყიდულობს "კავკასუს ბულგარიასგან" (შპს "კავკასუს ონლაინის" შვილობილი კომპანია 100%-იანი წილით), ხოლო ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შპს „კავკასუს ონლაინი“. ცხრილN2-ში შპს „მაგთიკომის“ და შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ შემოტანილი გლობალური ინტერნეტის მოცულობები წარმოდგენილია ცალ-ცალკე კომპანიების მიხედვით. მაგრამ საბაზრო წილის გაანგარიშებისას მონაცემები

შეჯამებულია/გაერთიანებულია შპს „კავკასუს ონლაინში“, რადგან შპს „კავკასუს ონლაინი“ არის "კავკასუს ბულგარია" დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი.

იმპორტირებული გლობალური ინტერნეტ რესურსების ზრდის დინამიკა/ტენდენცია

გრაფიკი N 3



გლობალური ინტერნეტის მოხმარება საკუთარი აბონენტების მიერ 2015-2018 წელს, გბ/წმ

ცხრილი N4

კომპანია	Q1 15	Q2 15	Q3 15	Q4 15	Q1 16	Q2 16	Q3 16	Q4 16	Q1 17	Q2 17	Q3 17	Q4 17	Q1 18	Q2 18	Q3 18	Q4 18
კავკასუს ონლაინი	52	54	56	58	60	62	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სილქნეტი	74	57	72	71	74	74	77	75	98	97	98	99	90	68	100	75
დელტა კომმი	3	3	3	3	3	5	5	5	5	5	5	5	0	0	0	0
სულ	129	114	131	132	137	140	81	80	102	101	103	104	91	68	100	75

შენიშვნა: შპს „ფოპტნეტი“ მის მიერ შეძენილ ინტერნეტს სრულად ყიდის შპს „სისტემნეტზე“, ხოლო შპს „სისტემნეტი“ - თავის მხრივ შპს „ახალ ქსელებზე“, შპს „ახტელზე“ და შპს „CGC“


გლობალური ინტერნეტის გადაყიდვა ავტორიზებული პირებისთვის საქართველოში 2015-2018 წელი, გბ/წმ

ცხრილი N5

კომპანია	Q1 15	Q2 15	Q3 15	Q4 15	Q1 16	Q2 16	Q3 16	Q4 16	Q1 17	Q2 17	Q3 17	Q4 17	Q1 18	Q2 18	Q3 18	Q4 18
ფოპტნეტი	28	28	27	27	27	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35
კავკასუს ონლაინი /კავკასუს ბულგარია	5	5	5	6	5	6	75	85	95	98	10	14	16	15	17	18
დელტა კომმი	2	2	2	2	2	4	4	4	1	1	1	1	1	1	2	2
სილქნეტი	4	6	7	4	5	5	4	4	6	7	6	5	6	7	13	9
სულ	38	41	41	39	39	50	11	12	13	14	14	19	20	20	22	22

შენიშვნა: შპს „მაგთიკომი“ საბითუმო გლობალურ ინტერნეტ რესურსებს ყიდულობს "კავკასუს ბულგარიასგან" (შპს "კავკასუს ონლაინის" შვილობილი კომპანია 100%-იანი წილით), ხოლო ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შპს „კავკასუს ონლაინი“. ცხრილN6-ში შპს „მაგთიკომის“ მიერ შემოტანილი გლობალური ინტერნეტის მოცულობები გაერთიანებულია „კავკასუს ონლაინი /კავკასუს ბულგარია“ ჩანაწერში

გრაფიკი N6



გლობალური ინტერნეტ რესურსების გაყიდვა უცხოელ ოპერატორებზე, გბ/წმ

ცხრილი N7

კომპანია	Q1 15	Q2 15	Q3 15	Q4 15	Q1 16	Q2 16	Q3 16	Q4 16	Q1 17	Q2 17	Q3 17	Q4 17	Q1 18	Q2 18	Q3 18	Q4 18
კავკასუს ონლაინი	3	3	3	3	3	3	5	5	5	5	7	7	8	10	10	10
სილქნეტი	25	25	-	10	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ	28	28	3	13	3	3	5	5	5	5	7	7	8	10	10	10

საკუთარი მიზნებისთვის და სხვა ავტორიზებულ პირებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტი, გბ/წმ-ში 2015-2018 წლები

ცხრილი N8

კომპანია	Q1 15	Q2 15	Q3 15	Q4 15	Q1 16	Q2 16	Q3 16	Q4 16	Q1 17	Q2 17	Q3 17	Q4 17	Q1 18	Q2 18	Q3 18	Q4 18
ფოტონეტი	28	28	27	27	27	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35
კავკასუს ონლაინი /მაგთიკომი	84	84	84	84	86	97	92	102	112	112	120	165	175	173	193	193
დელტა კომმი	7	7	7	6	14	14	14	15	20	20	10	10	10	10	5	5
სილქნეტი	81	75	90	84	89	89	89	89	113	93	113	113	113	123	120	120

სულ	200	194	208	201	216	235	231	241	280	259	278	323	332	341	353	353
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----


2015-2018 წელს საბაზრო ხვედრითი წილის შესახებ ინფორმაცია კომპანიების მიხედვით პროცენტებში

ცხრილი N9

კომპანია	Q1 15	Q2 15	Q3 15	Q4 15	Q1 16	Q2 16	Q3 16	Q4 16	Q1 17	Q2 17	Q3 17	Q4 17	Q1 18	Q2 18	Q3 18	Q4 18
ფოპტნეტი	14%	14%	13%	13%	12%	15%	15%	14%	13%	13%	13%	11%	11%	10%	10%	10%
კავკასუს ონლაინი /მაგთიკომი	42%	43%	40%	42%	40%	41%	40%	42%	40%	43%	43%	51%	53%	51%	55%	55%
დელტა კომმი	4%	4%	3%	3%	6%	6%	6%	6%	7%	8%	4%	3%	3%	3%	1%	1%
სილქნეტი	41%	39%	43%	42%	41%	38%	39%	37%	40%	36%	41%	35%	34%	36%	34%	34%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

საკუთარი მიზნებისთვის და სხვა ავტორიზებულ პირებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის პროცენტული განაწილება კომპანიების მიხედვით 2015-2018 წლები

გრაფიკი N9



ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნებისათვის, საბაზრო

ხვედრითი წილის გაანგარიშებისას გამოყენებული იქნა ავტორიზებული პირების მიერ საქართველოში ინტერნეტ საქმიანობისთვის გამოყენებული გლობალური ინტერნეტის მოხმარების წილობრივი მონაცემები, რომელიც 2018 წლის მდგომარეობით შეადგენს (ცხრილი N9):

სს „სილქნეტი“ - 34%;

შპს „კავკასუს ონლაინი“ - 55%;

შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ - 10%;

შპს „დელტა კომი“ -1%;

შენიშვნა N1: შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტის“ მიერ გლობალური ინტერნეტის შემოტანისთვის, განაწილებისა და მართვისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობები შპს „სისტემ ნეტის“ საკუთრებაშია. ამასთან, საანალიზო პერიოდის განმავლობაში შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“, მის მიერ შემოტანილ საბითუმო ინტერნეტის გადაყიდვას ახორციელებდა მხოლოდ შპს „სისტემ ნეტზე“. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „სისტემნეტი“ გლობალურ ინტერნეტს ყიდულობს შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტისგან“ და ერთი კომპანიის მიერ გაყიდული ინტერნეტის მოცულობა და საერთო ღირებულება იგივეა, რაც მეორე კომპანიაში გლობალური ინტერნეტის შეძენის მონაცემები, მონაცემების გაორმაგების თავიდან აცილების მიზნით, შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი -ფოპტნეტის“ და შპს „სისტემნეტის“ მონაცემები გლობალური ინტერნეტის საერთო მოცულობის შესყიდვის და საერთო ღირებულების გაანგარიშების მიზნებისათვის არ შეიკრიბა

ბაზრის ანალიზისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მოქმედი სხვა ავტორიზებული პირების საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ მონაცემები, რაც განსაზღვრავს, ახასიათებს თუ არა ბაზრის შესაბამის სეგმენტს ეფექტიანი კონკურენციის ტენდენცია. ამასთან ერთად, მხოლოდ საბაზრო ხვედრითი წილის შესახებ მონაცემები არ იქნა გამოყენებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების კრიტერიუმად.

ბ) რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა

იმ შემთხვევაში, როცა ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და არსებული ქსელი (ოპტიკურ ბოჭკოვანი მაგისტრალი) ისეთი გეოგრაფიული მასშტაბებითაა გავრცელებული, რომელიც საშუალებას აძლევს ავტორიზებულ პირს ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოს გლობალურ ინტერნეტთან წვდომა, ეს ვითარება მას სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით საბაზრო უპერატესობას ანიჭებს, ვინაიდან სხვა ალტერნატიული ავტორიზებული პირისათვის ამგვარი ინფრასტრუქტურის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, ან შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში. თუ კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონებში ავტორიზებული პირი არის ერთადერთი საბითუმო მომსახურების მიმწოდებელი, მაშინ ამ გეოგრაფიულ ზონაში სხვა ალტერნატიული ავტორიზებული

პირების მიერ აბონენტებისთვის ინტერნეტის საცალო მომსახურების მიწოდება დამოკიდებულია ამ ავტორიზებული პირისგან გლობალურ ინტერნეტთან დაშვების საბითუმო მომსახურების მიღებაზე. აღნიშნული დაშვებით ალტერნატიულმა ოპერატორმა საკუთარი საცალო ქსელი მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის ქსელს ურთიერთიარტით უნდა დაუკავშიროს. ფართოდ ხელმისაწვდომი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ქსელი და ინფრასტრუქტურის საკუთრებაში არსებობა ავტორიზებული პირისთვის მნიშვნელოვან კონკურენტუნარიან უპირატესობას წარმოადგენს მანამდე, ვიდრე ის პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ მსგავსი ინფრასტრუქტურა, საკუთარ ქსელს არ ააგებენ. მსგავსი ქსელის აშენების პერსპექტივიდან გამომდინარე, ქსელის ეს ნაწილი მაშტაბური კაპიტალ დაბანდებების გამო რთულად დუბლირებად აქტივს წარმოადგენს. ამასთან, ქსელის მშენებლობის ნებართვები უმეტეს შემთხვევაში კერძო მესაკუთრეებთან, ადგილობრივ ან რეგიონალურ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთიერთობის გრძელვადიანი პროცედურებით, ასევე გადასახადებითა და მოსაკრებლებითაა განპირობებული, რომელიც მნიშვნელოვან დანახარჯებს საჭიროებს, რაც ქსელის აშენების სირთულეს წარმოადგენს, როგორც ინვესტიციების, ასევე ნებართვების მოპოვების თვალსაზრისით. აღნიშნული ქსელი ავტორიზებული პირის ისეთ აქტივს წარმოადგენს, რომელიც მას ბაზარის შესაბამის სემენტზე საბაზრო უპირატესობას განსაზღვრავს, რადგან მსგავსი ქსელის აგება/დუბლირება სხვა ავტორიზებული პირებისთვის რთულად განსახორციელებელია.

გლობალურ ინტერნეტ რესურსების საბითუმო ბაზარზე, რათა ალტერნატიული ოპერატორისთვის შესაძლებელი იყოს მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებთან კონკურენცია საბითუმო ინტერნეტ მომსახურებაში, შესაძლებელი უნდა იყოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების ინფრასტრუქტურის რეპლიკაცია მარშრუტებზე, რომელსაც გააჩნია კავშირი საბითუმო ინტერნეტ რესურსებთან.

საქართველო უკავშირდება საერთაშორისო მონაცემთა ტრაფიკს რამდენიმე ოპტიკური ხაზის მეშვეობით. შპს „კავკასუს ონლაინს“ და შპს „ფოპტენს“ საკუთარი ინფრასტრუქტურა აქვთ საერთაშორისო კავშირის უზრუნველსაყოფად. ერთი გადის თბილისიდან ფოთისკენ შავი ზღვის გავლით ბულგარეთსა და რუმინეთში, მეორე თბილისი - ფოთი - ნოვოროსიისკის მიმართულებით. ალტერნატიული მარშრუტებია თურქეთის გავლით თურქული ოპერატორების მეშვეობით აზერბაიჯანში, ბაქოში.

სხვა კომპანიები გლობალური ინტერნეტ რესურსების იმპორტირებისთვის ქირაობენ არხებს (clear channels) უცხოური კომპანიებისგან საერთაშორისო ინტერნეტ კავშირის მისაღებად.

საკუთრი საერთაშორისო მაგისტრალის (Backbone) მარშრუტები

კომპანია	საკუთარი მაგისტრალი Backbone
შპს ფოპტენტი	თბილისი – ფოთი - ნოვოროსიისკი; თბილისი - წითელი ხიდი - აზერბაიჯანი; თბილისი - სადახლო - სასომხეთი
შპს კავკასუს ონლაინი	თბილისი - ფოთი და შავი ზღვის გავლით ბულგარეთი და რუმინეთისკენ

"სილქნეტის" და "დელტა კომმის" მაგისტრალები (backbones) გადის თბილისიდან თურქეთის საზღვარისკენ და შემდეგ ქირაობენ არხებს თურქ და სხვა უცხოელი

ოპერატორებისგან ფრანკფურტსა და ვარშავში საერთაშორისო კავშირისთვის. "სილქნეტი" ასევე ქირაობს არხებს მეგაფონისგან (რუსეთი) გლობალური ინტერნეტ რესურსებისთვის.

განმეორებითობის (replicability) პერსპექტივიდან გამომდინარე, საკუთარი საერთაშორისო ბექბოუნის (backbone) წარმოადგენს ქსელის ნაწილს, რაც ყველაზე რთულად განმეორებადია მისი კაპიტალური დახარჯების გამო. ეს საქმიანობა უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივი და საერთაშორისო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ხანგრძლივი ნებართვის პროცედურებთანაა დაკავშირებული და მოითხოვს შრომითი და მატერიალური ინტენსივობის ინვესტიციების დიდ ოდენობას.

არსებობს მნიშვნელოვანად აუცილებელი ფიქსირებული დახარჯები (sunk costs) ახალი ოპერატორებისთვის საერთაშორისო ინტერნეტ კავშირის მომსახურების შესათავაზებლად. ეს მოიცავს არსებით ფიქსირებულ დანახარჯებს ასოცირებულს მაგისტრალური ქსელის აგებასთან ან არხის (clear channel) იჯარით აღებასთან და საშუალებას აძლევს ქსელის ელემენტებს უზრუნველყონ მაღალი ტევადობის/სიმძლავრის ფართოზოლოვანი ტრაფიკი. ქსელის ინფრასტრუქტურის მშენებლობა/აგება მაღალ დანახარჯიანია, ამასთანავე შრომატევადი, დროში გაწელილი და ბაზარზე ახალი შემომსვლელებისთვის ძნელად დუბლირებადია. ასევე ძალიან ძვირადღირებულია საერთაშორისო მონაცემთა ცენტრებთან დაკავშირებული არხის ქირაობა (clear channel), რადგან მცირე ტევადობის (მოცულობის) არხის ქირაობა არ არის შესაძლებელი.

გ) მომხმარებლის ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა

აღნიშნული, საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, როდესაც მომსახურების არსებულ ან პოტენციურ მომხმარებლებს არ გააჩნიათ ამ მომსახურების შეძენის ფასზე ან სხვა ალტერნატიულ მომსახურების პირობებზე გავლენის მოხდენის საკმარისი შესაძლებლობა. ამ რეგულაციის არ არსებობისას, საბითუმო მომსახურების მომხმარებელ ავტორიზებულ პირებს არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, რომ პოტენციურად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისგან მიიღონ მომსახურება ისეთი პირობებით, რომელიც რელევანტურია საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის მისაღწევად. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბაზარზე არსებული კონკურენციის შეფასებისას. მომხმარებლის მსყიდველობითი ძალაუფლება, ასევე განისაზღვრება ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მომსახურების მიმწოდებლების რაოდენობითაც (სულ ორი-სამი მიმწოდებელი). ავტორიზებული პირების მიერ გლობალური ინტერნეტის მიწოდების სხვა ალტერნატიული საბითუმო მომსახურებების არ არსებობა, მკაფიო მტკიცებულებაა იმისა, რომ ალტერნატიულ ოპერატორებს არ გააჩნიათ საკმარისი მსყიდველობითი ძალაუფლება, რომელიც მომსახურების შეძენის ფასზე გავლენას იქონიებდა. გლობალური ინტერნეტის წვდომაზე საბითუმო მომსახურებების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მოთხოვნის დონე საკმაოდ კონცენტრირებულია, რადგან ამ მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ორი ოპერატორისაგან.

დ) ვერტიკალური ინტეგრაცია

ვერტიკალურად ინტეგრირებულ ოპერატორს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომელიც წარმოიქმნება მისი არსებობით „ზემოთ“ (upstream) და „ქვემოთ“ (downstream) მონათესავე ბაზრებზე. ამგვარი ეფექტიანობა, ასევე შესაძლებელია აისახოს მომხმარებლებზე იაფი ფასების, დაბალი ტრანზაქციის დახარჯების ან პროდუქტის მაღალი ხარისხის სახით. ამავ დროს, ვერტიკალური ინტეგრაცია შეიძლება მოიცავდეს ბაზარზე შესვლის ბარიერებს, სადაც ავტორიზებული პირის არსებობა წარმოების სხვადასხვა დონეზე ან დისტრიბუციის ქსელზე, ზრდიდეს დანახარჯებს ბაზარზე ახალი შემომსვლელებისათვის.

ერთ ბაზარზე საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი შეიძლება ასევე იყენებდეს იმ ბაზრის ძალაუფლებას მონათესავე ბაზარზეც. საბითუმო გლობალური ინტერნეტის საბითუმო ბაზარზე, ინტეგრირებულმა ოპერატორმა შესაძლებელია გამოიყენოს მისი პოზიციონერობა საბითუმო ბაზარზე, რათა კონტროლი შეძლოს საცალო ბაზარზე (downstream) და ამგვარად განამტკიცოს საბითუმო ბაზარზე შესვლის ბარიერები.

ინტერნეტ საცალო მომსახურება მოიცავს საბითუმო გლობალურ ინტერნეტ რესურსებს და ინტეგრირებული ოპერატორის მიერ ამ მომსახურებისთვის საჭირო თვითმომარაგებას. ეს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ინტეგრირებული ოპერატორის უპირატესობას, ვინაიდან მას ექნება პროგნოზირებადი მაღალი მოცულობის საბითუმო ინტერნეტი და შეეძლება მასშტაბის ეკონომიის უკეთ გამოყენება.

სს „სილქნეტი“ წარმოადგენს ვერტიკალურად ინტეგრირებულ ავტორიზებულ პირს, რომელსაც გააჩნია, როგორც ინტერნეტის გლობალურ რესურსთან წვდომისათვის საჭირო სრულყოფილი ინფრასტრუქტურა, ასევე ქვეყნის თითქმის ყველა მსხვილ დასახლებულ პუნქტში განვითარებული ინფრასტრუქტურა ინტერნეტის საცალო მომსახურების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მიუხედავად გლობალურ ინტერნეტ რესურსებთან წვდომაზე ბოლოდროინდელი ფასების შემცირებისა, საერთაშორისო და ეროვნულ ინტერნეტ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა შეფასებულ უნდა იქნას როგორც რთული კონკურენტული გარემო. პატარა ოპერატორებს, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი წვდომა ინტერნეტის ეროვნულ ან საერთაშორისო ინფრასტრუქტურასთან, უჭირთ ეფექტური კონკურენცია გაუწიონ დომინანტ ოპერატორს (სიჩქარესთან ან ფასებთან მიმართებაში).

ამასთან ერთად, სახეზეა დისკრიმინაციის არსებობა დომინანტი საბითუმო ოპერატორის საკუთარი აბონენტებისა და კონკურენტი ოპერატორის აბონენტების მიერ დაგენერირებული ინტერნეტ ტრაფიკის მარშრუტებს შორის (მაგ: საკუთარი მომხმარებლების გადამისამართება ხდება ქეშირებული კონტენტის მარშრუტზე, მაშინ, როცა კონკურენტი კომპანიების მომხმარებლების წვდომა იგივე კონტენტზე ხდება გლობალური ინტერნეტის საერთაშორისო ხაზებზე გადამისამართების გზით).

საბითუმო მომსახურების ტარიფების ხარჯზე ორიენტირებულობა

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან საბითუმო დაშვების მომსახურების ერთ მბ/წმ-ზე საოპერაციო დანახარჯების და მოგების მარჟის დასადგენად გამოყენებული იქნა კომპანიების მიერ წარმოდგენილი 2017 წლის აუდირებული განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში. შპს „კავკასუს ონლაინს“ მიერ წარმოდგენილი 2018 წლის მონაცემების საფუძველზე მომზადებული საბითუმო მომსახურების დანახარჯების გაანგარიშება არ იქნა გათვალისწინებული, რადგან კომპანიის მიერ წარმოდგენილ მონაცემებთან დაკავშირებით არის არსებითი ხასიათის შენიშვნები, რის თაობაზეც შპს „კავკასუს ონლაინს“ გაეგზავნა წერილი (N19-8/1138 15.04.2019) გაანგარიშების დაზუსტების და კორექტირების თაობაზე. შპს „კავკასუს ონლაინმა“ 2019 წლის 22 აპრილის N01-02/10233 (კომისიაში რეგისტრაციის N 19-6/1870) წერილით კომისიაში წარმოადგინა კომისიის შენიშვნებზე კომენტარები. შპს „კავკასუს ონლაინს“ კომისიის შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული გაანგარიშება კომისიაში არ წარმოუდგენია. ასევე, დანახარჯების შესახებ გაანგარიშება კომისიაში არ წარმოუდგენია სს „სილქნეტსაც.“

ცხრილი N10-ში მოცემულია შპს „კავკასუს ონლაინის“ გლობალური ინტერნეტის რესურსებთან საბითუმო დაშვების მომსახურების საოპერაციო დანახარჯები, ასევე წლის განმავლობაში გაყიდული საბითუმო მომსახურების ჯამური მოცულობა გგბტ/წმ-ში, დატვირთული კაპიტალის ოდენობა და ერთ მბ/წმ-ზე გაანგარიშებული დანახარჯები ლარში.

ცხრილი N10

მოგება-ზარალი - ძირითადი ქსელის ბიზნეს ერთეული	2017 ათას ლარებში
საოპერაციო ხარჯები	25,460
მომსახურების თვითღირებულება	15,634
სახელფასო ხარჯი-ტექნიკური	1,728
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი-ტექნიკური	2,387
სახელფასო ხარჯი-ადმინისტრაციული	2,244
საკონსულტაციო ხარჯი	1,207
სხვა ზედნადები ხარჯები	2,260
უკუგება	15,715
	31 დეკემბერი 2017 წელი
აქტივები	103,440
ვალდებულებები	60,689
ძირითადი დატვირთული კაპიტალი	42,751
უკუგება ძირითად დატვირთულ კაპიტალზე _ROCE	37%
მოგების მარჟის ნამრავლი WACC-ზე	6,391

იმის გამო, რომ შპს „კავკასუს ონლაინს“ განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშში წარმოდგენილი ძირითადი ქსელის მომსახურება ერთობლივად მოიცავს ადგილობრივ ავტორიზებულ პირებზე, სხვა ქვეყნის ოპერატორებისთვის გლობალური ინტერნეტის გადაყიდვას და ასევე საერთაშორისო მაგისტრალური არხებით მომსახურებას, კომისიამ 2019 წლის 29 მარტის N 19-08/889 წერილით, შპს „კავკასუს ონლაინს“ მოსთხოვა განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშიდან გლობალური ინტერნეტის რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების სეგმენტზე მიკუთვნებული დანახარჯების, შემოსავლების და დატვირთული კაპიტალის ძირითადი ქსელის ბიზნეს ერთეულიდან გამოცალკევებულად გამოყოფა. აღნიშნული ინფორმაცია შპს „კავკასუს ონლაინს“ კომისიაში 2019 წლის 10 აპრილამდე უნდა წარმოედგინა. შპს „კავკასუს ონლაინს“ კომისიის 2019 წლის 29 მარტის N 19-08/889 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია კომისიაში არ წარმოუდგენია. შესაბამისად, მთლიანი დანახარჯებიდან თავიდანვე გამოიყო ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურებისთვის შპს „კავკასუს ონლაინს“ მიერ კონტრაქტებისთვის გადახდილი ჯამური თანხა და ამ გზით გაანგარიშებული იქნა საერთაშორისო მაგისტრალურ არხში ერთი მგბტ/წმ მონაცემთა გადაცემის დანახარჯები. ცალკე იქნა გაანგარიშებული მაგისტრალური არხების გარეშე ერთ მგბტ/წმ-ისთვის ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების დანახარჯები. ცხრილი N11-ში გაანგარიშება მოიცავს ასევე მოგების მარჟის გაანგარიშებასაც.

ცხრილი N11

	2017 წელი საშუალო
იმპორტირებული გლობალური ინტერნეტ რესურსების მოცულობა, გბ/წმ	29
საერთაშორისო არხის დატვირთვა გბ/წმ	1,127
	2017 წელი
გლობალური ინტერნეტის დანახარჯი	1,793,939
მაგისტრალური არხების იჯარის დანახარჯი	13,840,061
ინტერნეტის და არხის ხარჯი სულ	15,634,000
სხვა საოპერაციო ხარჯი	9,826,000
ინტერნეტის თვითღირებულება, 1 მბ/წმ-ზე ლარი	5.2
არხის დანახარჯები, 1 მბ/წმ-ზე ლარი	1.7
მოგების მარჟა/არხზე, 1 მბ/წმ-ზე ლარი	0.5
ჯამური თვითღირებულება, 1 მბ/წმ-ზე ლარი	7.5

ცხრილი N12-ში მოცემულია სს „სილქნეტის“ გლობალური ინტერნეტის რესურსებთან საბითუმო დაშვების მომსახურების საოპერაციო დანახარჯები, ასევე წლის განმავლობაში

გაყიდული საბითუმო მომსახურების ჯამური მოცულობა გგბტ/წმ-ში, დატვირთული კაპიტალის ოდენობა და ერთ მბ/წმ-ზე გაანგარიშებული დანახარჯები ლარში მათ შორის მოგების მარჟის გაანგარიშება.

ცხრილი N12

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზარი	2017 წელი ('000 ლარი)
საოპერაციო ხარჯები	8,280
გრძელვადიანი აქტივების ცვეთა & ამორტიზაცია	466
გრძელვადიანი აქტივების და ქსელის ტექნიკური მომსახურება	113
ინტერნეტის შესყიდვა და საერთაშორისო არხების იჯარა	5,616
პერსონალის სახელფასო დანახარჯები	830
ქსელის და სხვა იჯარის ხარჯები	241
სხვა (საპროცენტო, აუდიტორული, საკონსულტაციო, იურიდიული, კომუნალური, საექვმო მოთხოვნები, გადასახადები და მოსაკრებლები, საბანკო მომსახურება, დაცვის ხარჯები და სხვა)	1,014
უკუგება	7,435
აქტივები	2,568
ვალდებულებები	940
კაპიტალი	2,132
ROCE	349%
მოგების მარჟის ნამრავლი WACC-ზე	319
საკუთარი მიზნებისთვის და სხვა ავტორიზებულ პირებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტი, 2017 წელი საშალოდ , გბ/წმ	108
1 მბ/წმ-ზე ზედნადები და კომერციული დანახარჯი, ლარი	6.7

ცხრილი N13-ში მოცემულია 2017 და 2018 წლების განმავლობაში შპს „კავკასუს ონლაინის“ და სს „სილქნეტის“ მიერ სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან საბითუმო დაშვების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისა და ერთი გგბტ/წმ-ის საშუალო ფასების შესახებ მონაცემები.

ცხრილი N13-ში მოცემულია ხარჯების სტრუქტურა შინაარსის მიხედვით 1მბ/წმ-ზე

ცხრილი N13

დანახარჯები 1 მბ/წმ-ზე	სილქნეტი	კავკასუს ონლაინი
------------------------	----------	------------------

ინტერნეტი ხარჯი	2.4	5.2
არხი დანახარჯი	2.6	1.0
საოპერაციო ხარჯები და ზედნადები ხარჯები	1.5	0.7
მოგების მარჟა @WACC 14.95%	0.25	0.5
სულ	6.7	7.5

ცხრილი N14

შპს „კავკასუს ონლაინ“

გლობალური ინტერნეტის მომწოდებელი	Jan -17	Feb-17	Mar-17	Apr-17	May-17	Jun-17	Jul-17	Aug-17	Sept-17	Oct-17	Nov-17	Dec-17	საშუალო
კომპანია A	6.4	6.1	5.8	5.8	5.8	5.7	5.7	5.8	5.9	6.2	6.5	6.2	6.0
კომპანია B	5.5	5.3	5.0	5.0	5.0	4.9	4.9	5.0	5.1	4.6	4.8	4.6	4.9
კავკასუს ონლაინი საშუალო	5.8	5.5	5.2	5.2	5.2	5.2	5.1	5.2	5.3	4.9	5.2	5.0	5.2

სს „სილქნეტი“

გლობალური ინტერნეტის მომწოდებელი	Jan -17	Feb-17	Mar-17	Apr-17	May-17	Jun-17	Jul-17	Aug-17	Sept-17	Oct-17	Nov-17	Dec-17	საშუალო
კომპანია C	0.5	0.5	0.4	0.4	0.5	-	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.4
კომპანია D	4.0	4.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.7
კომპანია E	6.3	6.0	6.4	4.9	4.9	4.8	4.8	4.9	5.0	5.2	5.4	5.2	5.3
კომპანია F	0.7	0.9	0.8	0.9	0.9	0.9	0.9	0.9	0.9	1.0	1.0	1.0	0.9
კომპანია G	-	-	1.5	2.9	2.9	2.9	2.9	2.9	3.0	3.1	3.3	3.1	2.4
კომპანია H	1.7	1.1	1.1	1.1	1.1	1.1	1.1	1.2	1.2	1.2	1.3	1.2	1.2
სილქნეტი საშუალო	2.8	2.6	2.4	2.3	2.0	2.7	2.3	2.3	2.4	2.5	2.6	2.5	2.4

სხვა ქვეყნის
ოპერატორებზე
გადაყიდილი
გლობალური ინტერნეტის
მონაცემები

სხვა ავტორიზებულ პირებზე გაყიდილი
გლობალური ინტერნეტის მონაცემები

	Caucasus Online			Caucasus Online			Silknet		
	(გბტ/წმ)	შემოსავალი (ლარი დღგ-ს გარეშე)	საშ. ფასი (მგბტ/წმ)	(გბტ/წმ)	შემოსავალი (ლარი დღგ-ს გარეშე)	საშ. ფასი (მგბტ/წმ)	(გბტ/წმ)	შემოსავალი (ლარი დღგ-ს გარეშე)	საშ. ფასი (მგბტ/წმ)
Jan-17	5	47,357	9	5	171,945	28	5	148,373	29
Feb-17	5	54,749	11	5	186,200	28	6	162,193	29
Mar-17	5	51,814	10	5	202,151	28	6	173,967	28
Apr-17	6	58,413	11	7	196,199	27	7	184,616	28
May-17	6	53,966	10	7	193,122	29	7	183,721	28
Jun-17	5	52,261	10	8	203,614	25	7	178,335	27
Jul-17	6	54,601	8	8	207,215	25	7	167,149	25
Aug-17	6	55,283	9	8	208,165	25	6	147,630	24
Sep-17	7	59,779	9	6	131,694	23	6	137,154	24
Oct-17	7	66,616	10	6	133,965	24	6	135,450	23
Nov-17	7	70,232	10	5	137,081	26	6	132,283	23
Dec-17	7	65,790	9	9	131,231	15	5	121,014	23
Jan-18	8	69,257	9	9	139,281	15	5	94,525	18
Feb-18	8	68,612	9	9	141,054	15	6	90,504	15
Mar-18	8	68,623	8	10	140,061	14	6	88,409	15
Apr-18	10	68,290	7	9	140,549	15	6	95,336	15
May-18	10	70,177	7	9	136,493	16	7	99,928	15
Jun-18	10	69,648	7	9	137,124	15	7	98,818	15
Jul-18	10	69,959	7	9	138,837	16	8	116,382	14
Aug-18	10	75,567	8	9	138,895	15	13	185,838	14
Sep-18	10	73,177	8	9	142,612	15	13	182,674	14
Oct-18	10	74,002	8	9	143,044	16	13	185,925	14
Nov-18	10	73,635	8	9	136,970	15	9	122,299	14

Dec-18	10	73,481	8	10	136,885	14	9	124,889	14
--------	----	--------	----------	----	---------	-----------	---	---------	-----------

საქართველოს ტერიტორიაზე ინტერნეტის გლობალურ და ლოკალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების მიწოდებაში, გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, როგორც ამ მომსახურების მიმწოდებლისთვის, ასევე მისი მიმღებისთვის. კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის 671/9 გადაწყვეტილებით („გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“) მაგისტრალური არხებით საბითუმო მომსახურებებზე მათ შორის, ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელთან და მომავალი თაობის ქსელის ციფრულ მოწყობილობებთან დაშვებაზე, კომისიამ დაადგინა ეფექტური ოპერატორის საფუძველზე ე.წ „LRIC“ მოდელით გაანგარიშებული ხარჯზე ორიენტირებული ტარიფი, რომელიც მონაცემების ტრანსპორტირებაზე ერთ მეგაბიტზე 0,50 ლარს შეადგენს თვეში (გადასახადების გარეშე). შესაბამისად, იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა უზრუნველყონ საკუთარი ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში გლობალური ინტერნეტ მომსახურების მიწოდება, გლობალური ინტერნეტის რესურსებთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფში გათვალისწინებული უნდა იქნას მონაცემების ტრანსპორტირებაზე დადგენილი ტარიფი. ზემოაღნიშნულის და სხვა გარემოებების, მათ შორის ვალუტის კურსის ცვალებადობის გათვალისწინებით, ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი უნდა შეადგენდეს 9 ლარს (გადასახადების გარეშე).

რაც შეეხება, საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან, მათ შორის, ქეშირებულ კონტენტზე ავტორიზებული პირების დაშვების დანახარჯებს, იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებისთვის („ISP პროვაიდერებისათვის“) საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან/კონტენტთან წვდომა თავისუფალია და ამ მომსახურებაზე არ არის დაწესებული გადასახადები, ამიტომ ამ მომსახურების მისაღებად, მომსახურების მიღების მსურველი ავტორიზებული პირი მხოლოდ ტრანსპორტირების დანახარჯებს გასწევს. შესაბამისად, საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან, მათ შორის, ქეშირებულ კონტენტზე ავტორიზებული პირების დაშვების დანახარჯები მხოლოდ მაგისტრალური არხებით კონტენტის ტრანსპორტირების დანახარჯებით უნდა შემოიფარგლებოდეს, რაც კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის 671/9 გადაწყვეტილების („გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“) თანახმად, ერთ მეგაბიტზე თვეში 0,50 ლარს შეადგენს (გადასახადების გარეშე). ამასთან აღსანიშნავია, რომ ტექნიკური თვალსაზრისით, არ არის განსხვავება ავტორიზებული პირი თვითონ იქირავებს მაგისტრალურ არხს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისაგან, თუ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი საკუთარი მაგისტრალური არხის შეერთებით უზრუნველყოფს ავტორიზებული პირის საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან დაშვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან, მათ შორის, ქეშირებულ კონტენტზე დაშვების

საბითუმო მომსახურებაზე საკუთარ ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში, ტარიფი ერთ მგბტ/წმ-ზე, თვეში 0,50 ლარს (გადასახადების გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს.

ბაზრის ანალიზის შედეგები

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობის განსაზღვრის ანალიზისას, კომისიის მიერ შეფასებული იქნა ის კრიტერიუმები, რომლებიც აღნიშნული საბითუმო მომსახურებითვის ყველაზე უფრო რელევანტურია:

- ავტორიზებული პირის ბაზრის წილი და მისი საბაზრო მოცულობა;
- რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურის კონტროლი;
- მსყიდველობითი ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა;
- ვერტიკალური ინტეგრაცია

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით შპს „კავკასუს ონლაინს“ და სს „სილქნეტს“ გლობალური ინტერნეტ რესურსების საბითუმო დაშვების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლება გააჩნიათ.

ავტორიზებული პირის მიერ გლობალურ ინტერნეტ რესურსებზე საბითუმო დაშვების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული საბაზრო ხვედრითი წილების გაანგარიშებისას, გათვალისწინებული იქნა საქართველოში იმპორტირებული გლობალური ინტერნეტ რესურსების საერთო რაოდენობა (საქართველოში გამოყენებული რესურსები).

ავტორიზებული პირების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ცნობის თაობაზე დასკვნას ამყარებს ის ფაქტი, რომ ამ კომპანიებს გააჩნიათ საერთაშორისო მაგისტრალური არხები, მათ შორის წყალქვეშა კაბელი (შპს „კავკასუს ონლაინი“) დაკავშირებული საერთაშორისო მონაცემთა გაცვლის ცენტრებთან, რომელიც არსებულ ბაზარზე შესვლისა და საბაზრო პოზიციის შენარჩუნების აუცილებელი აქტივია.

ვრეტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორის მიერ საკუთარი აბონენტებისთვის საცალო ინტერნეტ მომსახურების მიწოდება სს „სილქნეტს“ უპირატესობას ანიჭებს, ვინაიდან მას განსაზღვრული აქვს საბითუმო ინტერნეტის პროგნოზირებადი მაღალი მოცულობა და უკეთესად ახერხებს მასშტაბის ეკონომიის გამოყენებას.

აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მომხმარებლის ძალაუფლების დაბალი დონე და ხშირად მისი არ არსებობა გლობალური ინტერნეტის რესურსებთან საბითუმო დაშვების ბაზრის სეგმენტზე ავტორიზებული პირების მხრიდან შესაბამისი მომსახურებების მიწოდების ინტერესს და მოტივაციას იწვევს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ამ ბაზარზე კონკურენტული პირობების გაუმჯობესებას. აღნიშნული კი საბოლოო მომხმარებლისთვის (აბონენტებისათვის) სასარგებლო იქნება, რადგან გლობალური ინტერნეტის რესურსებთან საბითუმო დაშვების რეგულირება ხელს შეუწყობს აბონენტებისათვის ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების პირობების გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია აღნიშნავს, რომ ცვლილება უნდა შევიდეს კომისიის 2015 წლის 29 იანვარის N57/9 გადაწყვეტილებაში („ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“) და ავტორიზებულ პირებს: სს „სილქნეტს“ და შპს „კავკასუს ონლაინს“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, დაუდგინდეს ზედა ზღვრული ტარიფი საკუთარ ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში, საქართველოში 9 ლარის ოდენობით თვეში, მგბტ/წმ-ზე, გადასახადების გარეშე, ხოლო, საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან, მათ შორის, ქეშირებულ კონტენტზე დაშვების საბითუმო მომსახურებაზე საკუთარ ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში, 0,50 ლარის ოდენობით თვეში, მგბტ/წმ-ზე, გადასახადების გარეშე;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, V თავის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და IX თავის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. „ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 29 იანვარის N57/9 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება:

ა) გადაწყვეტილების 4.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.4. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით: მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაუდგინდეს ზედა ზღვრული ტარიფი: ა) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურებაზე საკუთარი ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში, საქართველოში, 9 ლარის ოდენობით თვეში, მგბტ/წმ-ზე, გადასახადების გარეშე; ბ) საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან მათ შორის, ქეშირებულ კონტენტზე დაშვების საბითუმო მომსახურებაზე საკუთარ ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში, 0,50 ლარის ოდენობით თვეში, ერთ მგბტ/წმ-ზე, გადასახადების გარეშე; გ) „ა“ პუნქტით განსაზღვრული ზედა ზღვრული ტარიფის ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2019 წლის პირველი ივლისი, ხოლო „ბ“ პუნქტით განსაზღვრული ზედა ზღვრული ტარიფის ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2019 წლის პირველი აგვისტო.

ბ) გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5 ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაევალოთ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან და საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან მათ შორის, ქეშირებულ კონტენტზე დაშვების უზრუნველყოფა საკუთარი ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში“.


2. დაევალოს სს „სილქნეტს“, და შპს „კავკასუს ონლაინს“ 2019 წლის პირველ ივნისამდე კომისიაში გამოსაქვეყნებლად წარმოადგინონ წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად განახლებული ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტი) და მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა განსაზღვრონ არანაკლებ 2 წლის ვადით;

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სს „სილქნეტისთვის“, შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილს).

კახი ბექაური



კომისიის თავმჯდომარე

ელისო ასანიძე



კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე



კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე



კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე



კომისიის წევრი